



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ქუთაისის „არესი“ - თბ „ხვამლი“		
გუნდი	თბ „ხვამლი“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	07/10/2022	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაბადების თარიღი	3/22/2002
სახელი, გვარი	ლუკა ცხვედიანი		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი გიგა მშვენიერაძე	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია დანართი #1 9.13 მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ, სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა.	წითელი ბარათი	✓ საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	10/10/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	
დამრღვევის წარმომადგენელი	თბ „ხვამლი“-ს წარმომადგენელი - ნუგზარ მალალურაძე.	აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯი გიგა მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმი; ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯი გიგა მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმი
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა
3. ქუთაისის „არესი“-ს წარმომადგენელის გიორგი ჩიხლაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი,

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

1. ქუთაისის „არესი“-ს წარმომადგენელის გიორგი ჩიხლაძის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით, დაზარალებული მოთამაშე შემოწმებული იქნა ექიმის მიერ კლინიკაში, მას არ აღმოაჩნდა სერიოზული დაზიანება და ექიმმა ნება დართო გაეგრძელებინა ვარჯიში/თამაში. გიორგი ჩიხლაძემ დადებითად შეაფასა დამრღვევი მოთამაშის საქციელი(გულწრფელი მობოდიშება,წუხილის გამოთქმა) თამაშის დასრულების შემდეგ.

**დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება**

თბ „ხვამლი“-ს მოთამაშე, ლუკა ცხვედიანი, დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას წითელი ბარათით მისი გაძევების შესახებ და აღიარა დისციპლინარული დარღვევა. მისი განმარტებით დარღვევა გამოწვეული იყო გაუფრთხილებელი ქმედებით მისი მხრიდან ვინაიდან მას არ გააჩნდა წინასწარი განსჯის უნარი სწორად შეეფასებინა მოწინააღმდეგის სწრაფი მოძრაობა. ლუკა ცხვედიანმა წუხილი გამოთქვა მომხდარი დარღვევის შესახებ და ახსნა ყოველივე ეს, დამაბული თამაშის დროს გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი ქმედებით მისი მხრიდან.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 07/10/2022 გაიმართა დიდი 10-ს V ტურის მატჩი ქუთაისის „არესი“-სა და თბ „ხვამლი“-ს შორის.
2. მატჩის მსაჯის, გიგა მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმის მიხედვით (ციტირება) : შეხვედრის 80-ე წუთზე მოხდა სახიფათო ბოჭვა. ბოჭვის დროს თავის კონტაქტი იყო სახეში. ეს მომენტი გადავამოწმეთ ვიდეოზე სადაც ვერ ვნახეთ შემამსუბუქებელი გარემოება დამცველის მხრიდან და მივიღეთ ერთობლივი გადაწყვეტილება მოთამაშის წითელი ბარათით გაძევების შესახებ.
3. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის მიხედვით - ბურთიანი მოთამაშე (დაშავებული, არესის # 15) თავად იხრება ქვემოთ კონტაქტის წინ, რამაც გაზარდა მხრების ხაზს ზემოთ კონტაქტის შესაძლებლობა.

**გადაწყვეტილება**

დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)
--------------------	----------------	------------	----------------



სანქციების პროცედურა	
დარღვევის სიმძიმის შეფასება	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული	
	✓
შეგნებული/წინასწარ განზრახული	წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი
დარღვევის გამომწვევი მიზეზი	
გაუფრთხილებელი ქმედება	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
საშუალო სიმძიმის	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
თავით/მხრით	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	
არა	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:	
არა	
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):	
არა	
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):	
დაზარალებული მოთამაშე გაიყვანეს მოედნიდან და გადაყვანილი იქნა კლინიკაში შესამოწმებლად.	
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე	
არა	
დაშავებულის დაცულობის ხარისხი	



არა
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარ განსჯის უნარი;
დამრღვევ მოთამაშეს არ გააჩნდა წინასწარი განსჯის უნარი, ვინაიდან კონტაქტისას თავი ჰკონდა დახრილი, ვერ ხედავდა მოწინააღმდეგეს და ვერ შეძლებდა მანევრირებას.
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
შესრულდა
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

<b>დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით</b>
<p>ზედა ზღვარი *            კვირა.    შუა ზღვარი 6(ექვსი)    კვირა    ქვედა ზღვარი            კვირა</p> <p>*ზედა ზღვართ შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.</p>
ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:
არა

**შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:**

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
სადისციპლინო კომისიის სხდომაზე დამრღვევმა მოთამაშემ აღიარა დარღვევა, მიბოდიშა და წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ.	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
ახალგაზრდა, გამოუცდელი	სამაგალითო
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
თამაშის შემდეგ წუხილი გამოთქვა მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენლებთან.	



## დაკლებული კვირების რ-ბა: 3(სამი) კვირა

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :  
 სადისციპლინო კომისიის სხდომაზე დამრღვევმა მოთამაშემ აღიარა დარღვევა; მიზობდიმა და წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ; სუფთა სადისციპლინო ისტორია თამაშის შემდეგ მოუბოდიშა მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენლებთან; ახალგაზრდობა - გამოუცდელია.

### შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;
არა

დამატებითი კვირების რ-ბა: არა

## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	3 (სამი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	11/10/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	21/11/2022	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, რაგბის თამაშის დროს ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	11/10/2022
-----------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.